ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

აბაშა, 2019 წლის 31 იანვარი

,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №50 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.110.016378) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ პროგრამით არ დაფინანსდება:

ა) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

ბ) სანატორიულ-კურორტული მომსახურება;

გ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული;

დ) საკეისრო კვეთა და ფიზიოლოგიური მშობიარობა;

ე) ალკოჰოლიზმით, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებით გამოწვეული და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა;

ვ) ინსტრუმენტული გამოკვლევები (ელექტროკარდიოგრაფია, ექოსკოპია, რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია);

ზ) ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლი, შარდი, ღვიძლის ფუნქციური სინჯი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი) გარდა ,, C” ჰეპატიტის ელმინაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მონიტორინგისა;

თ) დეფიბრილატორით ან გულის რესინქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლატირებადი რითმის ხელოვნური წარმმართველის ხარჯები;

ი) თვალის რეფრაქციული ქირურგია, თვალის ლაზერული ქირურგია და კორექცია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, რქოვანის გადანერგვა;

კ) აბილიტაცია/ რეაბილიტაციის მომსახურების ხარჯები, გარდა 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა;

ლ) იმ შემთხვევაში თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური ბენეფიციარის მხრიდან გადახდილია.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი